PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინა გოგოლაძე

წევრები:

თეა ბარამაშვილი

(თბილისი, 2020 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2020 წლის 19 ივნისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 4 20 00450013; 09.06.2020წ.) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“, მისამართზე ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№99/ნ; 01.10.2010წ.) დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა გაცნობითი შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის, პროგრამის შეფასების და განვითარების მექანიზმების არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა) და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შემოწმება, პროგრამის ხელძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება, სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. საკომუნიკაციო საშუალებით შედგა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის **შპს ,,სტაგი პრინტი“** დირექტორთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების შეჯამების/შეჯერების შემდეგ ჯგუფის თავმჯდომარის მიერ მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების დაგროვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ,,სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის" - ე.წ. FAB-LAB-ის არსებობამ, რომელიც დაწესებულების ხელშეწყობით ნებისმიერ სტუდენტს უზრდის მოტივაციას, აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს ახალი ცოდნა, განივითაროს უნარები და რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები. ლაბორატორია 2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და მხარდაჭერით გაიხსნა. ლაბორატორიაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, სტუდენტებთან.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებას, წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციები, წინა ვიზიტის დასრულებისთანავე ჰქონდა გათვალისწინებული.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

დაწესებულებაში ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>შესაბამისობის რეკომენდაცია</u> - კომპონენტი 2.2.1 (5)

- ✓ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს მოდულებისათვის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება", ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა", ,,ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)", ,,PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Aacrobat DC Pro) ლინკებთან ერთად ქართულენოვანი ლიტერატურის მითითება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>განვითარების რეკომენდაცია</u> - კომპონენტი 2.2.1.

- ✓ დაწესებულებამ ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესში“ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკულ დიზაინის შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №66, 29 მაისი, 2020 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (ორმოცი) ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20(ოცი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143 (ასორმოცდასამი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83 (ოთხმოცდასამი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 (ოთხმოცდაათი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 (ასოცი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ შემუშავებულია დაწესებულებაში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად და დამტკიცებულია 2020 წლის 29 მაისს (დირექტორის ბრძანება №65).
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ: მომზადებულია დოკუმენტი პროგრამის განხორციელების მიზნით, შემუშავებულია დოკუმენტი ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ დამატების მიზანშეწონილობის შესახებ“ და „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირებული მიდგომით დამატების მიზანშეწონილობის შესახებ. სადაც აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ წარმოადგენს 2019 წელს დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ,,ციფრული ხელოვნება“ ერთ-ერთ კონცენტრაციას, სწორედ აღნიშნული სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავა დაწესებულებან შესაბამისი კონცენტრაციის სახელწოდებით, რომლის პროფესიული მოდულები მეტწილად თავსებადია „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის“ (ხორციელდება 2015 წლიდან და ამჟამად მილევად რეჟიმშია) და „სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტი)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებთან. აღნიშნული მოდულების განხორციელების გამოცდილება დაწესებულებას 2015 წლიდან 2019 წლი 31 დეკემბრამდე, მის გაუქმებამდე აქვს (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექორის 2019 წლის დეკემბრის ბრძანება N1097/ი). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებთან. აღნიშნული მოდულების განხორციელების გამოცდილება კოლეჯს 2015 წლიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, მის გაუქმებამდე აქვს (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დირექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის ბრძანება N1097/ი). აღნიშნული პროგრამების განხორციელების პრაქტიკა დაწესებულებას დაეხმარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულების“ დანერგვა-განხორციელებაში.

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირებული მდგომით დამატების მიზანშეწონილობის შესახებ საკითხი, განხილულ იქნა კომისიის მიერ (ოქმი N6; 19.05.2020 წ.).

აღნიშნულ დოკუმენტში ჩანს, რომ:

- ✓ დაწესებულება, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში, პერიოდულად ეცნობა სახელმწიფო თუ სხვადასხვა კერძო სექტორების მიერ ჩატარებულ კვლევებს შრომის ბაზარზე პროფესიების საჭიროებების შესახებ, თანამშრომლობს 400-ზე მეტ პარტნიორ ობიექტთან და მათგან ღებულობს ინფორმაციას მოთხოვნადი პროფესიუების/ვაკანსიის შესახებ;
- ✓ კვლევების შედეგად გამოიკვეთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,გრაფიკუყლი დიზაინის შესრულება“ მოთხოვნა.

დაწესებულების მისიაა - ,,თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის, ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით“. დაწესებულება აფართოებს პროგრამების სპექტრს და მზადაა განახორციელოს ახალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფარგლებში შეძენილი უნარები კურსდამთავრებულს მისცემს დასაქმების შესაძლებლობას. პროგრამის დამატების აქტივობა დაწესებულებას წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული სამოქმედო გეგმაში, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, შეესაბამება დაწესებულების მისიას და ეხმიანება პირველ სტრატეგიულ მიზანს, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ითვალისწინებს „შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირებას''. რაც დასტურდება დაწესებულების მისიით, სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი - 2018-2025 წწ. და ერთწლიანის სამოქმედო გეგმებით (ბრძანება №73; 29.05.2020 წელი; №65; 08.08.2019 წელი).

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირების გარეშე მოიცავს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 31 კრედიტის რაოდენობით და 9 გრაფიკული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 44 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანის შემთხვევაში პირმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი, ხოლო, არაქართულენოვანმა 120 კრედიტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირების შემთხვევაში მოიცავს 5 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს - ჯამური 60 კრედიტის რაოდენობით, 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის რაოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 31 კრედიტის რაოდენობით და 9 გრაფიკული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 44 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანის შემთხვევაში პირმა უნდა დააგროვოს 143 კრედიტი, ხოლო, არაქართულენოვანმა 173 კრედიტი. ,,გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტეგრირების გარეშე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, ხოლო ,,გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტეგრირების შემთხვევაში დაშვების წინაპირობაა - საბაზო ზოგადი განათლება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება შესაძლებელს ხდის პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (№106; 28.11.2019 წ.). სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები თავსებადია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებასთან.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისათვის, შემუშავებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - (№34; 02.05.2018წ. №25 ბრძანებით შეტანილია ცვლილება 18.02.2020 წ.). დოკუმენტში გათვალისწინებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო გარემო, კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი, პროგრამის განმახორციელებელთა ადამიანური რესურსი. დაწესებულებაში პროგრამის განხორციელებისათვის არსებობს სამი ტიპის გარემო - A, B და C, შესაძლოა მოდულში იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, მაგ. A და C; B და C ან A, B და C. დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება ორ ცვლაში (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე) სასწავლო გარემოს, ტექნიკური აღჭურვილობისა და კვირეული დატვირთვის გათვალისწინევბით (ბრძანება №25; 18.02.2020 წ. ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ მუხ. 1. პ.7). პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მიღებული C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთ სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 და კვირაში 60 საათიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დატვირთვით - ერთდროულად იმდენი მოდულის განხორციელება, რომელთა კვირეული დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს (ბრძანება №25; 18.02.2020 წ. ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ მუხ. 2, პ.7).

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რომელიც მოიცავს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 50 წთ.) (,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - მე-11 მ. პ. მე-4.).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“, ინტეგრირებული მიდგომით სწავლება მიმდინარეობს შემდეგ აუდიტორიებში - №112ა, №112ბ და №116 ორ ცვლაში, ხოლო პროგრამისთვის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“, ინტეგრირებული მიდგომით გამოყოფილი აქვს 117 ლაბორატორია (ერთ ცვლაში), რომელებიც ხოლო მხოლოდ აღნიშნული პროგრამებისთვისაა გათვალისწინებული.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და დარგობრივი მოდულების სწავლება მიმდინარეობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადო მატერიალური რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების - „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ მოდულის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კომპონენტების შესაბამისი აღჭურვილობის მქონე სივრცეებში სხვადასხვა ცვლაში.

დაწესებულებას „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა პარტნიორ კომპანიებთან, კერძოდ: შპს „ვესტა“, შპს „სტაგი პრინტი“, შპს “FLEXMEDIA”, შპს „დაზგა“, შპს ,,საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე“, შპს „სეზანი“, შპს ,,ესპრეს სიტიპი“, სსიპ - ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა "გრაფიკული დიზაინის შესრულების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება 40 ადგილით (20 ადგილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებისას, ხოლო 20 ადგილი - ინტეგრირების გარეშე).

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოდფა პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც საერთო პროფესიული და გრაფიკული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულებისათვის, ასევე ზოგადი მოდულებისთვის და ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთის. დაწესებულებას სრულად აქვს გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტში არსებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალირაც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო რესურსები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება" ინტეგრირების გარეშე და „გრაფიკული დიზაინის შესრულება" ინტეგრირებული მდგომით მოდულბში მითითებული ლიტერატურა.
საგანმანათლებლო რესურსი შინაარსობრივად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა მოდულისა ,,ინფორმაციული წიგნიერება 1", სადაც მითითებული ლიტერატურა: Adobe Photoshop - ნ. კარბელაშვილი, რ. ერისთავი, ა. ველიჯანაშვილი/დისკი და Adobe Photoshop - კოტე იუდაშევი/დისკი, რომლის შინაარსი ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლას. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული და ვიზიტის ფარგლებში განახორციელა ცვლილებები და მოდულში საგანმანათლებლო რესურსებიდან ამოიღეს ზემოთ ხსენებული ლიტერატურა. კორექტირებული რესურსები უზრუნვეყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საერთო პროფესიულ მოდულს - ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ მითითებული ჰქონდა მხოლოდ ლინკები (ქართულენოვანი), რომლებიც არაა საკმარისი სწავლის შედეგებზე გასვლისთვის; ასევე, საერთო პროფესიულ მოდულს - ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“ და გრაფიკული დიზაინის შესრულებას კონცენტრაციის მოდულებს - ,,ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)“ და ,,PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)“ სასწავლო რესურსში მითითებული ჰქონდა მხოლოდ ლინკები, რომლებზეც განთავსებული იყო უცხოურენოვანი (ინგლისური) ლიტერატურა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დასახელებული მოდულების ლინკებთან ერთად, ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფის და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.

მოდულებში ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მითითებული იყო ერთი და იგივე ავტორის ერთი და იგივე საგანმანათლებლო რესურსი/ლიტერატურა. დაწესებულებამ გაითვალისწინა და წინა ვიზიტის ფარგლებში უზრუნველყო უზუსტობის ჩასწორება (ბრძანება №81; 19.06.2020წ. დანართი - №30);

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამას ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირების გარეშე და ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირებული მიდგომით არჩევითი მოდულები არ აქვს;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება, დაწესებულების წესდების მიხედვით (წესდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

N121/ნ;19.06.2019) მინიჭებული აქვს დაწესებულების დირექტორს და შესაბამისად პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ, რასაც ადასტურებს პროგრამის დამტკიცების შესახებ აქტი/ბრძანება N65; 29.05.2020 წელი;

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ შემუშავებულია ,,ციფრული ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. სწორედ ამ კონცენტრაციის იდენტურია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ინტეგირირებით და ინტეგრირების გარეშე) შემუშავებულია ,,ციფრული ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი: 02122-პ) და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. ასევე, შემუშავებულია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების შესახებ“ საფუძველზე.

დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში არის პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული პროგრამისთვის და ინტეგრირების გარეშე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. მოდულის ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ დირექტორის ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" დამტკიცების შესახებ" - (№66; 2020 წლის 29 მაისი);
- ✓ დაწესებულების წესდებით - (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება N121/ნ;19.06.2019წ.);
- ✓ ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით" - დაწესებულების დირექტორის ბრძანება №25; 18.02.2020 წ.;
- ✓ ,,ციფრული ხელოვნების" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" დამტკიცების შესახებ სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის'' დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №65 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ბრძანებით №81; 19.06.2020წ. (თანმხლები დანართები - №4; №1.1; 1.2; №30);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ✓ ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმით;
- ✓ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით - 2018-2025 წწ. - დირექტორის ბრძანება №73; 29.05.2020 წ.(შეტანილია ცვლილებები 2018 წლის 11 მაისის №43 ბრძანებაში);
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლს შედეგები, დამატების მიზანშეწონილობის კომისიის სხდომის ოქმით - ოქმი N5; 19.05.2020წ.
- ✓ დაწესებულების ვებ-გვერდით - https://www.profgldani.ge/;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება'' დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსის გამოყენებით, პროგრამის განხორციელებაში ასევე, ჩართულია პრაქტიკის ობიექტი. დაწესებულებას შემუშავეული აქვს მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რესურსების გამოყენების შესახებ წესები (დირექტორის ბრძანება №78; 03.06.2020წ.). ასევე, გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან და საწარმოო პრაქტიკას სტუდენები გაივლიან პრაქტიკის ობიექტებზეც. სადაც პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსი განაწილებულია დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება"-ს განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის უმრავლესობა, პროგრამის განაცხადის მიხედვით, არის დაწესებულებისსაკუთრებაში. განაცხადში დანართი 4-ის, ფორმა ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა)" ჩანაწერის მიხედვით, კოლეჯს არ უფიქსირდებოდა ბალანსზე - დიდი ფორმის ჭავლური პრინტერი - პლოტერი, ფოტოსპექტრომეტრი, CtP სისტემა, CtP სისტემასთან თავსებადი გამამჟღავნებელი, CtP სისტემასთან თავსებადი პერსონალური კომპიუტერი, სპეციალური სტელაჟი საბეჭდი ფორმების და სხვა მასალების შენახვისათვის, რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, რომელიც გადამოწმდა ვიზიტის განხორციელებისას.

მოდულებისათვის: ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის", ,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება" და ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება" (სწავლის შედეგი 2), დაწესებულებაიყენებს პრაქტიკის ობიექტებს, დანარჩენი მოდულების სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისბაზაზე. დარგის ექსპერტის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამაში ჩამოთვლილი მატერიალური რესურსი დაწესებულების ბაზაზე და დადგინდა, რომ დაწესებულებას შესყიდული აქვს: ,,შტატივიანი ხელოვნური განათება", რისთვისაც 2020 წლის 18 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება №33 შპს ,,მაი მობაილ+"-სთან და გამომდინარე იქიდან, რომ მატერიალური რესურსის ნაწილი, კერძოდ, ,,შტატივიანი ხელოვნური განათება", (რისთვისაც 2020 წლის 18 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება №33 შპს ,,მაი მობაილ+"-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სთან და ამ ეტაპზე არ არის დაწესებულებისათვის მიწოდებული. <u>**მატერიალური რესურსის მიწოდების უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 სექტემბერი.**</u>

გამომდინარე იქიდან, რომ მტერიალური რესურსის ნაწილი, კერძოდ ,,შტატივიანი ხელოვნური განათება", არ არის შემოტანილი დაწესებულებაში, რომლის შესყიდვაზეც 2020 წლის 18 ივნისს დადებულია №33 ხელშეკრულება შპს ,,მაი მობაილ+"-სთან ექსპერტები ამ ნაწილში დაწესებულებას აფასებენ, როგორც მეტწილად შესაბამისი.

დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" ინტეგრირების გარეშე და ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" ინტეგრირებული მიდგომით, მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, კერძოდ:

- ✓ **შპს დაზგა, მემორანდუმი - 448; 28.04.20;** მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება", ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის", მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება" ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; სტუდენტთა რაოდენობა - 2; თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 4ა ს/კ 206201929;
- ✓ **შპს ვესტა, მემორანდუმი - 449; 01.05.20;** მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება", ,,პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის" გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება" ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება. 15 სტუდენტი; თბილისი, ვანის ქ. 4 ს/კ 202159788;
- ✓ **შპს ,,საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე", მემორანდუმი - 450; 01.05.20;** მოდულები - ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება" გავლის ხელშეწყობასა და სწალის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდული ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება" ფარგლებში ექვსკურსიის ორგანიზება; 4 სტუდენტი. ქ. თბილისი, ყაზბეგის ჩიხი 32/34. ს/კ 200239964;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ✓ **შპს „სეზანი“, მემორანდუმი - 455; 13.05.20;** მოდულები - „ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“, „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის“, „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება, “CNC დანადგართან მუშაობა; ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; 15 სტუდენტი. ქ. თბილისი, ვანის ქ. 4 ს/კ 202159788;
- ✓ **შპს „სტაგი პრინტი“, მემორანდუმი - 451;** 01.05.2020; მოდულები - „ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“; „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“; გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ - ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება, 20 სტუდენტი, ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 29, ს/კ 404982587;
- ✓ **შპს „FLEXMEDIA“, მემორანდუმი - 447;** 28.04.2020; მოდულები - „ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“; „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“ გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; 5 სტუდენტი. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1 შეს. 1/43, ს/კ 401978311;
- ✓ **სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, მემორანდუმი - 460;** 29.05.2020წ. 3 წლის ვადით; მოდულები - „ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“; „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“ გავლის ხელშეწყობა და სწავლის შედეგების მიღწევა, 20 სტუდენტი. ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა №7, ს/კ 204582521.
- ✓ **შპს „ესპრეს სიტიპი“, მემორანდუმი - 459;** 20.05.2020; მოდულები - „ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება“, „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიაზინის შესრულებისათვის“, „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, გავლის ხელშეწყობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში ექსკურსიის ორგანიზება; 20 სტუდენტი. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ს/კ 405060008.

მემორანდუმები დადებულია უვადოდ და პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრებაზე, აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამითა და ინფრასტრუქტურით ხელშეწყობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას იღებს პრაქტიკის განმახორციელებელი ყველა ობიექტი, ხოლო სტუდენტის სწავლების ორგანიზებაზე დაწესებულება.

დარგის ექსპერტის მიერ, მოხდა შპს ,,ესპრეს სიტიპი“-ს და შპს ,,ვესტა“-ს დათვალიერება. პრაქტიკის ობიექტებზე გადამოწმდა ის მატერიალური რესურსი, რომელიც საჭიროა მოდულის ,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულებისათვის“. პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთან და დირექტორებთან გასაუბრებისას, გამოითქვა მზაობა იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობას იღებს პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრებაზე, აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და ინფრასტრუქტურით ხელშეწყობის უზრუნველყოფაზე. შპს ,,ვესტა“-სთან მემორანდუმი გაფორმებულია 15 სტუდენტზე და საწარმოს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ობიექტი შეძლებს ერთდროულად 7-8 სტუდენტის მიღებას ორ ცვლაში. ხოლო, შპს ,,ესპრეს სიტიპი“-სთან მემორანდუმი გაფორმებულია 20 სტუდენტზე და საწარმოს დირექტორთან გასაუბრებისას დადასტურდა 10-10 სტუდენტის მიღება ორ ცვლაში.

დაწესებულება პროგრამებზე - ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ასევე, ინტეგრირებული მიდგომით) ჯამში სულ მიიღებს 40 სტუდენტს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ჯამში 101 სტუდენტზე. შესაბამისად, პრაქტიკის ობიექტები ფარავენ დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვოტას.

პროგრამას დანართის სახით ახლავს იმ საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რაც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია აგრეთვე, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ის რესურსები, რასაც დაწსესებულება პარტნიორი კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმებით აპირებს. დაწესებულების საკუთრებაში მატერიალური რესურსები, შეესაბამება პროფესიულ სტუდენთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,გრაფიკული დიზაინის შესრულებას“ განხორციელებისთვის სულ ჩართულია 35 განმახორციელევბელი პირი, მათ შორის: ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის - 18 (თვრამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგადი მოდულების განხორციელებაში - 9 (ცხრა) პროფესიული განათლების მასწავლებელი, საერთო პროფესიული და გრაფიკული დიზაინის შესრულებას კონცენტრაციის მოდულების განხორციელებაში 7 (შვიდი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. განაცხადის თანახმად, მათთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება, რომელიც გადამოწმდა ვიზიტის ფარგლებში.

პროფესული პროგრამის განმახორციელებელ პირების პირადი საქმეების გაცნობისას გაირკვა, რომ მოდულებს: ,,მეწარმეობა 2“, ,,ინტერპერსონალული კომუნიკაცია“, ,,მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები“ და ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“, ჰყავს მხოლოდ ერთი განმახორციელებელი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. დარგის ექსპერტის მიერ, საკომუნიკაციო საშუალებით შედგა გასაუბრება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიების“ (გეოგრაფია) განმახორციელებელთან. როგორც მან აღნიშნა, (პირადი საქმიდანაც გაირკვა), აქვს სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და მზაობა, რომ ჩაერთოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“-ს (ინტეგრირებული მიდგომით) განხორციელებაში. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოდულის ,,მეწარმეობა“ განმახორციელებელს არ ჰქონდა სწავლების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, იგი შერჩეული იყო მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოხდება მისი გადამზადება.

დაწესებულება ეტაპობრივად, ვებ-გვერდზე აცხადებს ვაკანსიებს, ამ ეტაპზე, დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ვაკანსია (11.05.2020წ. – 20.05.2020წ.) ,,ციფრული ხელოვნების მასწავლებლის“ პოზიციაზე (,,ბეჭდვამდელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამუშაოების შესრულება”) და დამატებითი რესურსის მოზიდვისთვის სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა აყვანას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისა და ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ ყველა მათგანს აქვს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელის პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. სათანადო დოკუმენტებით დასტურდება, რომ მათ აქვთ კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი, ამ წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით ხდება პერსონალის შერჩევა.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებაში არ იყო დამკვიდრებული პროგრამის ხელმძღვანელის პრაქტიკა. ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულების“ ხელმძღვანელად დანიშნულია შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სათანადო დარგობრივი კომპეტენციისა და მრავალწლიანი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება, რაც დადასტურდა პირადი საქმით, მასში წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციით და გასაუბრებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესი“, რომელშიც გაწერილია დირექცია/ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მაგრამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არა არის გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობებით (დამტკ. ბრძ.N23; 11.02.20 წ) განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება მოვალეობები. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლ პირებს გავლილი აქვთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისრტროს მიერ ორგანიზებელი ტრენინგები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესში" გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, რომელიც გამოყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება ხდება პერიოდულად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ლიტერატურა/სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში გადამოწმდა შერჩევითი წესით. ლიტერატურა მატერიალური და ელექტრონული სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში, არსებობს CD დისკები და ყველა მათგანი საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული/რეგისტრირებული. საერთო პროფესიულ მოდულებს: ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება"; ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა" და გრაფიკული დიზაინის შესრულებას კონცენტრაციის მოდულებს: ,,ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)", ,,PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro) " სასწავლო რესურსში მითითებული ჰქონდა მხოლოდ ლინკები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული ლიტერატურა ქართულ ენაზე არ არსებობს. დაწესებულებას მიეცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდაცია დასახელებული მოდულების ლინკებთან ერთად ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ. მიცემულ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოფენ შესაბამისი სასწავლო რესურსის მოძიებას ქართულ ენაზე.
დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში შეადგინა და წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შეტანილ იქნა საგანმანათლებლო რესურსების ქართულად მომზადების თემა. აღნიშნული აქტივობა გაიწერა სამ თვეზე და აქტივობის განხორციელება დაევალა შესაბამისი მოდულის განმახორციელებელ პირებს. ექსპერტთა ჯგუფისათვის გადმოგზავნილ მოდულებში სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალში არ იყო მითითებული თუ რომელი ლიტერატურა იყო ელ. ვერსია და რომელი მატერიალური სახით. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში უზრუნველსამყო აღნიშნულის ჩასწორება.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო რესურსი საერთო პროფესიულ მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება"; „დაზგა-დანადგარებთან მუშაობა" და გრაფიკული დიზაინის შესრულებას კონცენტრაციის მოდულებს: „ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)", „PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)" სასწავლო რესურსში მითითებული ჰქონდა მხოლოდ ლინკები და ლიტერატურა ქართულ ენაზე, არ არსებობის გამო, არ ჰქონდა, ექსპერტები ამ ნაწილში დაწესებულებას აფასებენ, როგორც მეტწილად შესაბამისი.

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების შენობა ადაპტირებულია სსსმ პირთათვის, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც საშუალებას აძლევს სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სსსმ პირებისათვის, საჭიროებიდან გამომდინარე (პროფესიული ინკლუზიური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ხარისხის მართვის მენეჯერის და სსსმ პირის ჩართულობით) ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებში ექნებათ აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. დაწესებულებაში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, სადაც მოცემულია, თუ როგორ მოხდება საჭიროების შემთხვევაში მოდულის მოდიფიცირება. არსებული პრაქტიკის მიზნით გადამოწმდა ადაპტირებული ინდივიდუალური გეგმები და მოდულები. დაწესებულებამ წარმოადგინა სსსმ პირთათვის ინდივიდუალური საჭიროებისა და სწავლებაში გამოვლენილი თავისებურებების განხილვის შესახებ სხდომის ოქმები(№4; 03.09.2019წ., №5, 03.09.2019წ.), სადაც ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მეშვეობით განიხილებება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების შესახებ საკითხი სსსმ პირის მშობლის თანდასწრებით.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

განაცხადის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით.

დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან და მისი მთავარი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი (პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსების რაოდენობის სიზუსტე გადამოწმდა ვიზიტის განხორციელებისას). მასში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სხვა: პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მათი სახელფასე ანაზღაურება საათობრივი დატვირთის მიხედვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ - დირექტორის ბრძანება - №66; 29.05.2020 წ.;
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით, ანგარიშფაქტურებით;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებით;
- ✓ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- ✓ მატერიალური რესურსების გამოყენების შესახებ წესები (დირექტორის ბრძანება №78; 03.06.2020წ.)
- ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულებით - დირექტორის ბრძანება - №71; 29.05.2020 წ;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესით - დირექტორის ბრძანება - №30; 02.05.2018 წ.;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანებით - №69; 29.05.2020 წ., და პირადი საქმით;
- ✓ სსსმ პირთათვის ინდივიდუალური საჭიროებისა და სწავლებაში გამოვლენილი თავისებურებების განხილვის შესახებ ოქმით - №4; 03.09.2019წ., №5, 03.09.2019წ.;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ შესაბამისობის გეგმით;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით - დირექტორის ბრძანება №58; 26.06.2018 წ. ცვლილების შესახებ ბრძანება №70; 29.05.2020 წ.;
- ✓ ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ✓ საგანმანათლებლო რესურსების ჩუქების აქტით, შესყიდვის აქტებით;
- ✓ ინტერვიუს შედეგებით;
- ✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით;

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს №104468; 30.01.2020 წ. სსიპ-კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ წერილით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“ (ბრძანება №28; 18.02. 2020წ.), რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის უცილებელი პროცედურები და მექანიზმები. დოკუმენტში დეტალურადაა ასახული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა და წესი, მოდულის ადაპტირების წესი მოდულური პროგრამების დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებელის შეტანის წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი. დაწესებულებას ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლიც დამტიკცებულია დირექტორის ბრძანებით (№113; 16.12.2019 წ.), რომლის მეშვეობითაც ხდება პროფესიულ მასწავლებელთა, სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა არსებული პრაქტიკის დოკუმენტაცია, 2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N45; 23.04.2020 წ.), სსიპ-სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2019 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი, რომელშიც გაანალიზებული იყო პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული მასწავლებლების, დამსაქმებლების და დაწესებულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა, გამოკითხვის კითხვარები, ასევე ლექციებზე დასწრების ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაინტერესებული მხარეების მხრიდან უკუკავშირი ხორციელდება მათ მიერ შევსებული კითხვარების საშუალებით. ხდება შევსებული კითხვარების შეჯამება და შესასრულებელ საკითხებზე, ასეთის შემთხვევაში, რეაგირება. თუმცა, პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი წარმოდგენილი კითხვარები მოიცავდა კითხვებს, რომელზე პასუხებიც დაწესებულებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას ვერ უზრუნველყოფს. ასევე, დამსაქმებლებისთვის განკუთვნილი კითხვარები იმდენად დიდი მოცულობისაა, რომ დამსაქმებლისთვის დისკომფორტის შემქმნელი იქნება მათზე პასუხები, რადგან ძირითადად ჩასაწერ ინფორმაციას მოიცავს.

დაწესებულებამ, გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია დამსაქმებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი გამოკითხვის კითხვარების გადახედვა-განახლებასთან დაკავშირებით და 2020 წლის 14 ივლისს (MES 7 20 0000600158) გადმოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ: გადახედა და განაახლა დამსაქმებლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი გამოკითხვის კითხვარების ფორმები, რაც დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით (№98; 08.07.2020 წელი). ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო №98 ბრძანებას თანმხლები დანართებით (დანართი - 2; ,,კითხვარი პროფესიული სტუდენტებისათვის" და დანართი - 3; ,,კითხვარი დამსაქმებლებისთვის") და იზიარებს პოზიციას.

3. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწესებულების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიაში" (დირექტორის ბრძანება N28; 18.02. 2020 წ.), გაწერილია პროგრამაში/მოდულებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცვლილების შეტანის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის განვითარების მექანიზმებს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამის შეფასების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, დაწსებულების პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. დაწესებულებაში არ დამდგარა საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნილება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწეებულებას აქვს პრაქტიკა პროგრამების განვითარების მიზნით ცენტრს მიმართოს ინიციატივებით. ასეთი პრეცენდენტები განხორციელდა 2018 წელს, როცა დაწესებულების ინიციატივა განიხილა დარგობრივმა საბჭომ და გარკვეულ პროგრამებში შეიტანეს ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით - დირექტორის ბრძანება №28; 18.02.2020წ.;

- ✓ პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმებით - დირექტორის ბრძანება №109; 06.12.2019წ.;
- ✓ “2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით - დირექტორის ბრძანება N45; 23.04.2020წ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსიპ-სსიპ -კოლეჯ „ბლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ 2019 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტი;

- ✓ ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულებაში შედგენილია სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, დაცულია პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვრთვა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია 10 დღიანი შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა ვადები მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით, რომელიც გაწერილი ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში", რომლის მიხედვითაც - (მე-14 მუხლი, მე-5 პუნქტი) პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგი დაადასტუროს პროფესიული განათლების მასწავლებელთან *ზეპირი შეთანხმების საფუძველზე*. ზეპირ შეთანხმებასთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვები. დაწესებულების განმარტებით დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობა, რაც ჩასწორდა ვიზიტის ფარგლებში, ჩანაწერით - *,,პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან"* (ბრძანება №79; 19.06.2020წ.1.1.).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" და ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" ინტეგრირებული მიდგომით ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება"-ს სასწავლო გეგმა მოიცავს 21 მოდულს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 23 მოდულს არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 90 კრედიტი და პროგრამის ხანგრძლივობაა 16 სასწავლო თვე (64 კვირა), ხოლო, არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტი და პროგრამის ხანგრძლივობა 21,5 სასწავლო თვე (86 კვირა). ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება"-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმა ინტეგრირებული მიდგომით მოიცავს 23 მოდულს ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 25 მოდულს არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის. ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 143 კრედიტი და პროგრამის ხანგრძლივობაა 30 სასწავლო თვე (120 კვირა), ხოლო, არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 173 კრედიტი და პროგრამის ხანგრძლივობა 35,5 სასწავლო თვე (142 კვირა). სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარებასთან დაკავშირებით. კვირეული დატვირთვა არ არის 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამაში ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ზოგადი მოდულები მთელ სასწავლო პერიოდზეა გადანაწილებული. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მე-7 პუნქტში ,,სტრუქტურა და მოდულები“ და სასწავლო გეგმებში დაშვებულია უზუსტობა, ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით ,,გრაფიკულიული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულები“ ფიქსირდებოდა ჩანაწერი ,,პროფესიული მოდულები“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ და აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა დაწესებულებამ გაასწორა ვიზიტის ფარგლებში.

დაწესებულებამ 2020 წლის 14 ივლისს (MES 7 20 0000600158) გადმოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია დაშვებული ტექნიკური უზუსტობის შესახებ, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მე-7 პუნქტში ,,სტრუქტურა და მოდულები“ და სასწავლო გეგმებში დაშვებული იყო უზუსტობა, ფიქსირდებოდა ჩანაწერი ,,პროფესიული მოდულები“, ნაცვლად ჩარჩო დოკუმენტში მითითებული ჩანაწერისა: ,,გრაფიკულიული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულები“. დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და დაწესებულების მიერ ტექნიკური უზუსტობა გასწორებულ იქნა (დირექტორის ბრძანება №81; 19.06.2020 წელი). ექსპერტთა ჯგუფი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაეცნო 2020 წლის 19 ივნისის №81 გრძანებას თანმხლები დანართებით (დანართი - 4; დანართი - 1.1.; 1.2.) და იზიარებს პოზიციას.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახდენს პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრონციპით: P - plan დაგეგმვა, D – do განხორციელება, C – check შემოწმება, A – act რეაგირებასასწავლო ცხრილების შედგენისას შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის საჭიროებებს. სასწავლო ცხრილების შედგენა ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით. სასწავლო ცხრილები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. რაც დადასტურდა დაწესებულების არსებული პრაქტიკით ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. დაწესებულებაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის მექანიზმები, თუმცა აღნიშნული გეგმების შედგენის აუცილებლობა კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არ დამდგარა გარდა შშმ პირებისა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და განხორციელდება დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს გამოყენებით, რომელიც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებლებთან გასაუბრებისას და დაწესებულების საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის დათვალიერებისას.

ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარი ითვალისწინებს შეფასებას სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, გამოკითხვის შემდეგ დაწესებულებაში იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, აღნიშნული ჯგუფის ერთ-ერთი ფუნქციაა სალექციო პროცესის მონიტორინგი. რაც წარმოადგენს დაწესებულების მხრიდან სწავლების პროცესში სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენების მექანიზმს. გამოკითხვის შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - რეაგირება.

,,გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პრფესული საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ პარტნიორ კომპანიებს, პროგრამის კომპონენტების განსახორციელებლად გააჩიათ თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც ტექნიკა - დანადგარები, ისე ხელსაწყო-იარაღები.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ განმახორციელებელ პირებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავს განმახორციელებელ პირთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რისთვისაც პერიოდულად ხდება ტრენერთა მოწვევა, ტარდება ტრენინგები როგორც პედაგოგიური, ისე პროფესიული უნარების განსავითარებლად.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ საკითხი, ისე მობილობის, წინმსწრები განათლების აღიარების, პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხები. დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დაწესებულებააქტიურად თანამშრომლობს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან, მემორანდუმებში აღწერილია თანამშრომლობის დეტალები.

- ✓ შპს "FLEXMEDIA"(მემორანდუმი № 447);
- ✓ შპს "დაზგა" (მემორანდუმი № 448);
- ✓ შპს „ვესტა“ (მემორანდუმი N 449);
- ✓ შპს "საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე" (მემორანდუმი N 450);
- ✓ შპს „სტაგი პრინტი“ (მემორანდუმი N 451);
- ✓ შპს „სეზანი“ (მემორანდუმი № 455);
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (მემორანდუმი N 460).

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებაში არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელს ჩაუტარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო-თეორიული ტრენინგი.

პროგრამის განხორიელებაში ჩართული პარტნიორი კომპანიების მხრიდან პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. კომპანიებთან გაფორმებულ მემორანდუმშები გათვალისწინებულია პუნქტი უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - ბრძანება №106; 2019 წლის 28 ნოემბერი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით - დირექტორის ბრძანება №28; 18.02.2020წ.;
- ✓ გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციებით - დირექტორის ბრძანება N26, 27.04.2018.წ.;
- ✓ ,,ციფრული ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესრულება“ დამტკიცების შესახებ სსიპ - კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის'' დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №65 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ბრძანებით №81; 19.06.2020წ. (თანმხლები დანართები - №4; №1.1; 1.2;);

- ✓
- ✓ დაცვის სამსახურთან დადებული ხელშეკრულებებით - №3; 30.12.2019წ.);
- ✓ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის (N26; 18.02.2020 წ. ცვლილ - N40; 27.03.2020 წ.). სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების მექნიზმები და პროცედურები. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას. წესი ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და შიდა მონიტორინგს, მტკიცებულებების შეგროვებასა და შენახვას, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას, შეფასების შედეგების გაცნობას პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესებსა და შეფასების გასაჩივრების რეგულაციებს. დაწესებულებაში აღნიშნული წესის მუხლი 5 ასევე, შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივ მოქმედი კომისია, რომელიც ასევე აფასებს გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭირვალობას. შეფასების წესში შეფასების პროცესის დაგეგმვიდან მტკიცებულებების განკარგვის მექანიზმებამდე ყველა პროცესი არის გაწერილი. გაწერილია განმეორებითი შეფასების საორგანიზაციო საკითხები - პასუხისმგებელი პირები, სტუდენტის ინფორმირების პროცედურები და სხვა.

ვიზიტის ფარგლებში, შეფასების ინსტრუმენტების დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის გაცნობის მიზნით, გადამოწმდა იმ მოდულის შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ,,გრაფიკული დიზაინის შესრულებაზეც“ ისწავლება. კერძოდ, ინფორმაციული წიგნიერება 1, შეფასების ინსტრუმენტი არის გამჭვირვალე და ვალიდური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N26; 18.02.2020 წ. ცვლილება: N40; 27.03.2020 წ.), მუხლი 11 შესაბამისად, დაწესებულებაში დანერგილია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კდაწსებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. დაწესებულების ხარისხის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ვალიდაციას ახორციელებს დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისების გაფორმებიდან 3 წლის ვადით. დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომლის თანახმად („პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ - დირექტორის ბრძანება №26; 18.02.2020, შეტანილი ცვლილება №40; 27.03.2020წ.) პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმით და უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს დაწესებულებულების სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით. მტკიცებულებები დაწესებულებაში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ვადის გასვლის შემდეგ ხდება მისი განადგურება დირექტორის ბრძანებით (№15; 02.04.2018 წ.) დამტკიცებული „უტილიზაციის წესის შესახებ“ დაცვით საფუძველი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 30.08.N824 ბრძანების „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”) ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დირექტორის ბრძანება №106; 28.11.2019წ.) დააზუსტოს მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი წესდების შესაბამისად, რაც ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ იქნა გაზიარებული და 2019 წლის 08 აგვისტოს №62 ბრძანების №1 დანართის მე-16 მუხლს დაემატა 2.1. პუნქტი - შინაარსით: ,,კოლეჯის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში, სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების შენახვას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (№79; 19.06.2020წ.).

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის (დამტკ. დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N40, 27.03.2020 წ.) მუხლი 9[1] შესაბამისად დაწესებულება განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და გამოიყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა“, რომელიც განხილულია სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (ოქმი №3, 29.05. 2020 წელი), გაუმჯობესების გეგმაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგიის დანერგვის შესახებ საკითხიც.

გაუმჯობესების გეგმა გაწერილია 2020 წლის მარტიდან 2020 წლის01 სექტემბრამდე პერიოდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესით - დირექტორის ბრძანება №26; 18.02.2020, შეტანილი ცვლილება №40; 27.03.2020წ.;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №121/ნ; 09.06.2019წ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების დამტკიცების შესახებ, თავი IV, მუხლი 14).
- ✓ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - დირექტორის ბრძანება №106; 28.11.2019წ.);
- ✓ დირექტორის ბრძანებით №79; (19.06.2020წ. - 26.06. 2018 წ. №58 ბრძანებაში ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების თაობაზე“ ცვლილებების შეტანის შესახებ“);
- ✓ ,,ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის გაუმჯობესების გეგმით“ - ოქმი №3; 29.05. 2020 წელი;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანებით - №37; 07.05.2019წ.;
- ✓ ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

თანდართული დოკუმენტაცია

15 ივლისი, 2020 წელი

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: